



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
G E O R G I A
THE ORDER OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY



განკარგულება:გ-135. 135243052

თარიღი:31/10/2024

მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მე- III- კვარტლის ბიუჯეტის
შესრულების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის, პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 85-ე მუხლის შესაბამისად

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება

1. მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მე- III- კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შეფასდეს დადებითად.ანგარიში წარმოდგენილი სახით თან ერთვის. (დანართი: 6 -ფრ.)
2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ.ზუგდიდი გრ. ქობალიას ქ №12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



**მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის III-კვარტლის გეგმის(ნაზარდი
ჯამით) შესრულების მიმოხილვა**

ადგილობრივი თვითმართვადლობის კოდექსის 54-ე მუხლის გ)პუნქტის,გ.ა)ქვეპუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის III-კვარტლის შემოსულობების, გადასახდელების(მათ შორის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების) ნაშთის ცვლილებების და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებელთან:

- ❖ **შემოსულობები** - გეგმა 27 779.7 ათას ლარი, ფაქტი ხაზინის მონაცემებით 24 098.7 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 86 %-ით.
- ❖ **გადასახდელები** -გეგმა 29 704 ათასი ლარი, ფაქტი ხაზინის მონაცემებით - 24 435 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 82 %-ით.
- ❖ **2023 წლიდან გადმოსული ნაშთის III-კვარტლის გეგმა ნაზარდი ჯამით** - 1 924.3 ათასი ლარი.

განვიხილოთ შემოსულობები მუხლობრივად:

- **გადასახდელები მუხლი(კლას.კოდი 11)** გეგმა- 14 336.5 ათასი ლარი. ფაქტი ხაზინის მონაცემებით 5 508.9 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 38 %-ით, მათ შორის:
- **გადასახდელები ქონებაზე (კოდი 1.1.3)** გეგმა 6 016.3 ათასი ლარი, შესრულება - - 2273.6 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 0%-ით. (აუდიტის შეფასებით ქონების გაუფასურების გამო სს „ნენსკრა ჰოდრო“-მ დაამინუსა წინა წლებში გადახდილი 5 947 968 ლარი).
- **გადასახდელები საქონელსა და მომსახურებაზე-დღგ (კოდი 1.1.4)** გეგმა - 8 320.1 ათასი ლარი, ფაქტი - 7 862.6 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 94 %-ით.
- **„გრანტები“ (კოდი 1.3)** მუხლით დაგეგმილი იყო 12 213 ათასი ლარი, შესრულდა 17 102 ათასი ლარის ოდენობით, გეგმა შესრულდა 140 %-ით, მათ შორის:
- **მიზნობრივი ტრანსფერის** გეგმა შეადგენდა 1 599.7 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა - 1 554.4 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 97 %-ით.
- **სპეციალური ტრანსფერი ბიუჯეტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად** - გეგმა 0 ათასი ლარი, ფაქტი 7 500 ათასი ლარი.(„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის შემოსულობების გათვალისწინებით, მათი ფინანსური დახმარების მიზნით საქართველოს მთავრობის 12.09.2024 წლის N 1307

განკარგულებით(02.05.2024 წ. N 649 განკარგულების ცვლილება) მესტიის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილია თანხა).

- **კაპიტალური გრანტები ცენტრალური ბიუჯეტიდან.** გეგმა - 10 329.5 ათას ლარი, შესრულებამ შეადგინა - 8 047.6 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 78 %-ით;
- **„სხვა შემოსავლები“-დან** (კლას.კოდი 1.4) შემოსულობების გეგმა შეადგენდა 1 230 ათას ლარს, შესრულება 1 407.8 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 114 %-ით, მათ შორის:
- **დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები**(კოდი 1.4.1.1.2.4.) გეგმა --245 ათასი ლარი, შესრულება - 72 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 29 %-ით.
- **რენტა**(კოდი 1.4.1.5.) გეგმა -760 ათასი ლარი, შესრულება 963.1- ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 126 %-ით, მათ შორის:
 - **მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის** (ხე-ტყე და წიაღისეული) შემოსავალმა შეადგინა 800.4 ათასი ლარი (მ.შ. ხე-ტყის მოსაკრებელი 792.3 ათასი ლარი)
 - **მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან მიღებული შემოსავალი** - 162.6 ათასი ლარი;
- **საქონლის და მომსახურების რეალიზაცია**(კოდი 1.4.2.) გეგმა- 175 ათასი ლარი, შესრულება- 121 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 69 %-ით, მათ შორის:
 - **ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის** გეგმა --90 ათასი ლარი, შესრულება--111.3 ათასი ლარი(;
 - **სანებართვო მოსაკრებელი** გეგმა --70 ათასი ლარი, შემოსავალმა კი შეადგინა- 9ათასი ლარი ;
- **სანქციების (ჯარიმები და საურავები)** (კლას.კოდი 143) მუხლით შემოსავლების გეგმა 50 ათასი ლარი, შესრულება შეადგენს - 25 ათას ლარს, გეგმა შესრულდა 42 %-ით.
- **სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები** -გეგმა 0, ფაქტი -225.3 ათასი ლარი(წინა წელს გაცემული საგარანტიოების მობრუნება, მ.შ. წვირმის გზა 196 000, ეპ ჯორჯია 29 000 ლარი

პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შესაბამისობას შემდეგი სახე აქვს:

1. **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება**(ორგ.კოდი 01 00) გეგმა - 5 712.7 ათასი ლარი, ათვისება--5 128 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 90 %-ით, მათ შორის:
 - **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა** (ორგანიზაციული კოდი 01 01) , გეგმა - 1 601.9 ათასი ლარი, ათვისება--1 394.1 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 87 %-ით, მათ შორის:

- **მუნიციპალიტეტის საკრებულო** (ორგ.კოდი 01 01 01) გეგმა - 1 079 ათასი ლარი, ათვისება - 1 000.7 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 93 %-ით, მათ შორის:
 - შრომის ანაზღაურება (კლასიფ.კოდი 2.1) გეგმა--744 ათასი ლარი, ათვისება-- 729.4 ათასი ლარი;
 - ხარჯი (კლასიფ.კოდი 2) გეგმა 1079 ათასი ლარი, ათვისება-- 1 000.7 ათასი ლარი;
- **მესტიის მუნიციპალიტეტის მერია** (ორგ.კოდი 01 02) გეგმა - 3 940 ათასი ლარი, ათვისება - 3 561.4 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 90 %-ით, მათ შორის:
 - შრომის ანაზღაურება (კლასიფ.კოდი 2.1) გეგმა-- 1 410 ათასი ლარი, ათვისება-- 1 243.9 ათასი ლარი;
 - ხარჯი (კლასიფ.კოდი 2) გეგმა 3 925 ათასი ლარი, ათვისება-- 3 546.4 ათასი ლარი;
 - არაფინანსური აქტივების ზრდა (კლასიფ.კოდი 31) გეგმა 14.9 ათასი ლარი, ათვისება 14.9 ათ. ლარი;
- **კადრების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა** (ორგანიზაციული კოდი 01 01 03) გეგმა - 13 ათასი ლარი, ათვისება -8.2 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 63 %-ით,

➤ **საერთო დანიშნულების ხარჯები** (ორგანიზაციული კოდი 01 02) გეგმა 680.6 ათასი ლარი, ათვისება -557.6 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 82 %-ით,

- **სარეზერვო ფონდი** (ორგ.კოდი 01 02 01) გეგმა 380 ათასი ლარი. ათვისება 260 ათასი ლარი (სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა-შენახვა)
- **მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დაფარვა** (ორგ.კოდი 01 02 03) გეგმა-266.3 ათასი ლარი. ათვისება - 236.3 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 89%-ით, მათ შორის:
 - ვალდებულებების კლების მუხლში გეგმა- 228.8 ათასი ლარით, ათვისება-- 206.6 ათასი ლარი;
 - პროცენტის მუხლის გეგმა - 37.5 ათასი ლარით, ათვისება-- 29.7 ათასი ლარი
- **სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხები** (ორგანიზაციული კოდი 01 02 04) გეგმა 34.058 ლარი, ფაქტი 34.057 ლარი, გეგმა შესრულდა 100 %-ით
- **აიპ ახალგაზრდული თვითმმართველობა** (ორგ.კოდი 01 02 05) გეგმა - 380.2 ათასი ლარი, ათვისება -287.2 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 76 %-ით.
- **ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა** (ორგანიზაციული კოდი 01 02 06) გეგმა - 0 ათასი ლარი, ათვისება -0 ათასი ლარი.

2. **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** (ორგ.კოდი 02 00) გეგმა - 14 675.7 ათასი ლარი, ათვისება - 10 453.8 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 71 %-ით.

- ხარჯი (კლასიფ.კოდი 2.2) გეგმა -- 1 207 ათასი ლარი, ათვისება- 1025.3 ათასი ლარი;
 - არაფინანსური აქტივების ზრდა (კლასიფ.კოდი 31) გეგმა - 13 468.6 ათასი ლარი, ათვისება- 9 428.5 ათასი ლარი;
- მათ შორის:
- **მესტიის მუნიციპალიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია** (ორგ.კოდი 02 01 01) გეგმა -- 8 649.3 ათასი ლარი, ათვისება - 6 333.8 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 73 %-ით, მათ შორის:
 - ხარჯი (კლასიფ.კოდი 2.2) გეგმა -- 436.9 ათასი ლარი, ათვისება-- 429.2 ათასი ლარი (სტიქიის შედეგად დაზიანებული შიდასასოფლო გზების რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა);

- არაფინანსური აქტივების ზრდა (კლასიფ.კოდი 31) გეგმა -8 212.4 ათასი ლარი,ათვისება- 5 904.6 ათასი ლარი;
- **გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**(ორგ.კოდი 02 02 01) გეგმა -- 402ათასი ლარი, ათვისება - 350.6 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 87 %-ით, მათ შორის:
 - სუბსიდია (კლასიფ.კოდი 2.5) გეგმა -- 250.2 ათასი ლარი, ათვისება-- 203.6 ათასი ლარი;
 - არაფინანსური აქტივების ზრდა გეგმა -151.7 ათასი ლარი. ფაქტი -147 ათასი ლარი(ამწეკალათიანი ავტომობილიშ შეძენის ხარჯი).
- **წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**(ორგ.კოდი 02 02 02)გეგმა - 583.5 ათასი ლარი, ათვისება 500 ათასი ლარი(86 %) (ლენჯერის ტერიტორიულ ერთეულში სოფ. ლემსიის და ნესგუნის წყლის სისტემის რეაბილიტაცია);
- **მესტიის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა**(ორგ.კოდი 02 03) გეგმა -- 2 157.4 ათასი ლარი, ათვისება -- 1 490.4 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 69 %-ით, მათ შორის:
 - ხარჯი (კლასიფ.კოდი 2.2) გეგმა -- 469.8 ათასი ლარი, ათვისება 392.4 ათასი ლარი;
 - სხვა ხარჯი გეგმა-338.8 ათასი ლარი. ფაქტი - 338.8 ათასი ლარი
 - არაფინანსური აქტივების ზრდა (კლასიფ.კოდი 31) გეგმა -- 1 687.5 ათასი ლარი, ათვისება- 1 097.9 ათასი ლარი;
- **სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია**(ორგ.კოდი 02 04), გეგმა - 469.2 ათასი ლარი, ფაქტი - 468.4 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა - 99 %-ით. მათ შორის:
 - არაფინანსური აქტივების ზრდა. გეგმა - 469.2 ათასი ლარი, ათვისება - 468.4 ათასი ლარი(მულახის ტერიტორიულ ერთეულში სოფ. ჟაბეშის სტიქიით დაზიანებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, ლატალის ტერიტორიულ ერთეულში სოფ. ლელბაგი-იფხი სიდიანარის სანიაღვრე არხის მშენებლობა).
 - ხარჯი. გეგმა - 0 ათასი ლარი, ფაქტი - 0 ათასი ლარი.
- **სოფლის მხარდაჭერის პროგრამა**(ორგ.კოდი 02 05) გეგმა - 1 885.5 ათასი ლარი, ათვისება 1 036.2 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 55 %-ით, კერძოდ:
 - არაფინანსური აქტივების ზრდა; გეგმა -1 835.5 ათასი ლარი, ათვისება 1 036.2 ათასი ლარი.
 - ხარჯები გეგმა 50 ათასი ლარი, შესრულება 0 ლარი
- **საპროექტო-სახარჯთაადრიცხვო და ექსპერტიზის მომსახურების დაფინანსება**(ორგანიზაციული კოდი 02 09) -გეგმა 528.6 ათასი ლარი ფაქტი - 274.2ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 52%-ით.

3. **დასუფთავება და გარემოს დაცვა**(ორგ.კოდი 03 00) გეგმა -1290.1 ათასი ლარი, ათვისება --1 182.2ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 92 %-ით,).მათ შორის:

- **ა.აიპ“დასუფთავება და კეთილმოწყობის სამსახური“**(ორგ.კოდი 03 01) გეგმა -1 290.1 ათასი ლარი, ათვისება --1 182.2 ათასი ლარი,კერძოდ:
 - სუბსიდია (კლასიფ.კოდი 2.5) გეგმა - 1 278.4 ათასი ლარი, ათვისება- 1 170.4 ათასი ლარი;
 - არაფინანსური აქტივების ზრდა (კლასიფ.კოდი 31) გეგმა -- 11.7 ათასი ლარი, ათვისება- 11.7 ათასი ლარი;

4. **განათლება**(ორგ.კოდი 04 00) გეგმა-3 052.1 ათასი ლარი, ათვისება- 2 965.4 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 97%-ით, მათ შორის:

- **სკოლამდელი განათლების დაფინანსება** (ორგ.კოდი 04 01) გეგმა -- 1 632.7 ათასი ლარი, ათვისება --1 586.7 ათასი ლარი (ათვისება 97%). კერძოდ:
 - სუბსიდია: გეგმა --1 608.4 ათასი ლარი, ათვისება 1 579.4 ათასი ლარი.
- არაფინანსური აქტივების ზრდა (კლასიფ.კოდი 31) გეგმა -24.3 ათასი ლარი, ათვისება- 7.2 ათასი ლარი;

- **სკოლების თანადაფინანსება** (ორგ.კოდი 04 04) გეგმა -1 419.3 ათასი ლარი, ათვისება -1 378.8 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 97 %-ით, კერძოდ:
 - ხარჯი (კლასიფ.კოდი 2.2) გეგმა --1 412.9 ათასი ლარი, ათვისება -1 376.4 ათასი ლარი;
 - არაფინანსური აქტივების ზრდა (კლასიფ.კოდი 31) გეგმა -- 6.3 ათასი ლარი, ათვისება- 2.3 ათასი ლარი;

5. **კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული დონის ძიებები** (ორგ.კოდი 05 00) გეგმა 2 718.7 ათასი ლარი, ათვისებულია 2 543.4 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 94 %-ით, მათ შორის:

- **ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი** (ორგ.კოდი 05 01 01) გეგმა 1 018.3 ათასი ლარი, ათვისება-961.6 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 94 %-ით, კერძოდ:
 - სუბსიდიის გეგმა --863.5 ათასი ლარი, ათვისება --806.8 ათასი ლარი
 - არაფინანსური აქტივების ზრდა (კლასიფ.კოდი 31) გეგმა -- 154.7 ათასი ლარი, ათვისება- 154.7 ათასი ლარი (ავტომობილის შეძენა).
- **აქტიური სპორტსმენების და ახალგაზრდების ხელშეწყობა** (ორგ.კოდი 05 01 02) გეგმა - -37.1 ათასი ლარი, ათვისება --27.3 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 74%-ით.
- ხარჯი: გეგმა --33.6 ათასი ლარი, ათვისება --23.9 ათასი ლარი.
 - არაფინანსური აქტივების ზრდა (კლასიფ.კოდი 31) გეგმა -3.5 ათასი ლარი, ათვისება- 3.4 ათასი ლარი;
- **ბიბლიოთეკების დაფინანსება** (ორგ.კოდი 05 02 01) გეგმა --114.5 ათასი ლარი, ათვისება --92.2 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 81 %-ით,
 - სუბსიდია: გეგმა --92.1 ათასი ლარი, ათვისება --86.5 ათასი ლარი.
 - არაფინანსური აქტივების ზრდა, გეგმა 22.4 ათასი ლარი. ათვისება 5.6 ათასი ლარი.
- **ა.აიპ "მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი"** (ორგ.კოდი 05 02 02) გეგმა --772.6 ათასი ლარი, ათვისება --740.3 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 96%-ით, მათ შორის:
 - სუბსიდია (კლასიფ.კოდი 2.5) გეგმა -- 765.9 ათასი ლარი, ათვისება-- 733.5 ათასი ლარი;
 - არაფინანსური აქტივების ზრდა, გეგმა -6.7 ათასი ლარი. ათვისება 6.7 ათასი ლარი.
- **კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი** (ორგ.კოდი 05 02 03) გეგმა 119.9 ათასი ლარი, ათვისება --99.5 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 82.9 %-ით, მათ შორის:
 - სუბსიდია (კლასიფ.კოდი 2.5) გეგმა --117.4 ათასი ლარი, ათვისება--99.5 ათასი ლარი;
 - არაფინანსური აქტივების ზრდა, გეგმა -2.5 ათასი ლარი. ათვისება 0 ათასი ლარი.

- **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება**(ორგ.კოდი 05 03) გეგმა --254 ათასი ლარი, ათვისება --248.2 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 98%-ით, .მათ შორის:
 - ხარჯი (კლასიფ.კოდი 2.8) გეგმა --225.3 ათასი ლარი, ათვისება - 219.5 ათასი ლარი;
 - არაფინანსური აქტივების ზრდა, გეგმა -28.7 ათასი ლარი. ათვისება 28.7 ათასი ლარი.
- **აიპ სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია შან - ლანდ** (ორგ.კოდი 05 07) გეგმა --402 ათასილარი, ათვისება --374.2 ათასი ლარი გეგმა შესრულდა 93%-ით, კერძოდ:
 - სუბსიდია: გეგმა --374.8 ათასილარი, ათვისება --353.2 ათასი ლარი.
 - გრანტი გეგმა -13.6 ათასი ლარი, ფაქტი 12.4 ათასი ლარი
 - არაფინანსური აქტივების ზრდა (კლასიფ.კოდი 31) გეგმა -13.5 ათასი ლარი, ათვისება- 8.5 ათასი ლარი;

6. **მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**(ორგ.კოდი 06 00) გეგმა--2254.5 ათასი ლარი,ათვისება-- 2162.2 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 96 %-ით,

- **ა.ა.ი.პ საზოგადოებრივი ჯანდაცვა** (ორგ.კოდი 06 01 01) სუბსიდიის გეგმა --139.3 ათასი ლარი, ათვისება -110.5 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 79 %-ით, ;
- **მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანების თანადაფინანსება** (ორგანიზაციული კოდი 06 01 02) : გეგმა --338.5 ათასი ლარი, ათვისება --338.5 ათასი ლარი, ; გეგმა შესრულდა 100 %-ით,
- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**(ორგ. კოდი 06 02) : გეგმა --580 ათასი ლარი, ათვისება --553.4 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 95 %-ით,
- **სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარება** (ორგ.კოდი 06 03) გეგმა --182.4 ათასი ლარი, ათვისება --162.7 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 89 %-ით.
- **უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა** (ორგანიზაციული კოდი 06 04) გეგმა - 0 ათასი ლარი. ათვისება 0 ათასი ლარი(0%).
- **მეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსება** (ორგ.კოდი 06 05) გეგმა --78 ათასი ლარი, ათვისება -- 73.1 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 94 %-ით.
- **ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამა** (ორგანიზაციული კოდი 06 06) გეგმა - 63.4 ათასი ლარი. ათვისება 55.4 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 87 %-ით.
- **მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების და მაჩუბების გადასახური მასალით უზრუნველყოფის პროგრამა** -(ორგანიზაციული კოდი 06 07) გეგმა - 872.7 ათასი ლარი. ათვისება 868.4 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 99 %-ით.

2024 წლის ბიუჯეტის III -კვარტლის გეგმის მთლიანი სალდოს მაჩვენებელია -1 695.4 ათასი ლარი, ფაქტიური მაჩვენებელი - 129.9 ათასი ლარი.

III კვარტლიდან IV კვარტალში გარდამავალი ნაშთი შეადგენს 1 588 ათას ლარს.